



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



## კორუფციული პრაქტიკის დაფინანსება საქართველოში:

2017 წლის ადგილობრივი  
თვითმმართველობის არჩევნები

2017 წლის  
ოქტომბერი

შუალედური ანგარიში

## **კვლევის ავტორები**

გიგი ჩიხლაძე  
თამთა კახიძე

## **კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი**

ლევან ნატროშვილი



ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

# სარჩევნი

ძირითადი მიზნებები	2
შესავალი	4
თავი I. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო	6
თავი II. განხორციელებული შემოწირულებების ანალიზი	8
რეკომენდაციები	13

## ძირითადი მიგნებები

2017 წლის 1 ივნისიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებულმა კვლევამ შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა:

- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით საკანონმდებლო ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია;
- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კვალიფიციურ პოლიტიკურ გაერთიანებათა რაოდენობამ ოცს მიაღწია, მათგან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 15 კვალიფიციური პარტია იღებს მონაწილეობას, რომლებიც არჩევნებში 14 კვალიფიციური სუბიექტით არიან წარმოდგენილი;
- 2017 წლის ივნისიდან 1 ოქტომბრამდე კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტებმა და თბილისის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ალექსანდრე ელისაშვილმა მთლიანობაში 10 319 998 ლარის ოდენობის შემოწირულობა მოიზიდეს, საიდანაც 8 274 776 ლარი (80%) 643 ფიზიკური პირის მიერ გაღებული თანხაა, ხოლო 2 044 143 ლარი – 32 იურიდიული პირის მიერ;
- ამ თანხის უდიდესი ნაწილი 9 553 178 ლარი (93%) მიიღო პოლიტიკურმა პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, შემდეგ მოდის „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 609 969 ლარით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 48 261 ლარი, „პატრიოტთა ალიანსი“ - 28 187 ლარი და ალექსანდრე ელისაშვილი - 20 241 ლარი;
- „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულება 16-ჯერ აღემატება შემოწირულობით მეორე ადგილზე გასულ „ევროპული საქართველოს“ შემოწირულებას და 12-ჯერ მეტია ყველა კვალიფიციური სუბიექტის ჯამურ შემოწირულებებზე;
- ზემოთნახსენები 32 იურიდიული პირიდან 31 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, მხოლოდ ერთმა იურიდიულმა პირმა გაიღო „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლო შემოწირულება 90 ლარის ოდენობით.
- ყველაზე მსხვილი შემომწირველი 7 კომპანია იყო - თითოეულმა „ქართულ ოცნების“ სასარგებლოდ მაქსიმალური თანხა 120 000 ლარი გაიღო. ეს კომპანიებია: შპს „ჯი-ემ-პი“, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, შპს „LION“, „თეგეტა მოტორსი“, „დეტი“, „პარტნიორი“ და „მეეკი“. აღსანიშნავია, რომ პირველმა სამმა კომპანიამ 2016 წელს ზუსტად იმავე ოდენობის თანხები შესწირა „ქართულ ოცნებას“. ასევე საინტერესოა, რომ კომპანიამ „ტრანსპროექტი“, რომელმაც საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ 50 000 ლარი გაიღო, 2011 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ აქვს 100 000 ლარი შეწირული.
- „ქართული ოცნების“ 31 შემომწირველი კომპანიიდან 2017 წელს 15-მა მიიღო გამარტივებული წესით სახელმწიფო კონტრაქტები საერთო ღირებულებით დაახლოებით 2 145 000 ლარი, მაშინ როდესაც ამავე კომპანიებმა საანგარიშო პერიოდში პარტიის სასარგებლოდ მთლიანობაში 1 021 793 ლარი გაიღეს. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა „თეგეტა მოტორსის“ და „ცეკურის“ შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში „თეგეტა მოტორსმა“ როგორც იურიდიულმა პირმა მმართველ პარტიას 120 000, ხოლო ამ კომპანიის მეწილემ ზაურ ცხადაძემ დამატებით 60 000 ლარი შესწირა, ამ კომპანიამ კი მიმდინარე წლის განმავლობაში მხოლოდ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის წესით დაახლოებით 1 500 000 ლარის ღირებულების კონტრაქტები გააფორმა. რაც შეეხება კომპანია „ცეკურს“, მან „ქართული ოცნებისთვის“ 40 000 ლარი გაიღო და ამავე დროს 400 000 ლარის ღირებულების ერთი პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი მიიღო;

- რაც შეეხება შემომწირველ ფიზიკურ პირებს, 643 შემომწირველიდან 289 ადამიანი 818 იურიდიულ პირთან იყო სხვადასხვა სტატუსით დაკავშირებული. ამ 818 იურიდიული პირიდან 70 არის ისეთი, რომელმაც 2017 წელს გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვების ერთი კონტრაქტი მაინც მიიღო. ამ 70 კომპანიიდან 49 „ქართული ოცნების“ 55 ფიზიკურ პირ შემომწირველთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულმა 55-მა ადამიანმა საანგარიშო პერიოდში მმართველ პარტიას მთლიანობაში 1 661 470 ლარი შესწირა, მათმა კომპანიებმა კი დაახლოებით 2 400 000 ლარის ღირებულების პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტები მიიღეს;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში შემოწირულების შემოწმების მიზნით 544 ფიზიკური პირის შემოსავლების შესწავლაზე გააგზავნა მოთხოვნა, საიდანაც გამოკითხვაზე 31 პირი დაიბარა, აქედან 13 არის „ევროპული საქართველოს“ შემომწირველი, ხოლო 18 – „ქართული ოცნების“;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდს, რომელზეც განთავსებულია შემომწირველთა ბაზა, გარკვეული ხარვეზები გააჩნია და არ მოიცავს სრულ ინფორმაციას. მაგალითად, მასში არ იძებნება დამოუკიდებელი კანდიდატებისა და რამდენიმე პარტიის შემოწირულება. აუდიტის სამსახური ამ ხარვეზის შესახებ ინფორმირებულია და იმედია, მიიღებს შესაბამის ზომებს.

## შესავალი

პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს არჩევანი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის, რათა არ მოხდეს ერთპიროვნული სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პარტიების სიძლიერე და პოპულარობა კი დიდ წილად მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში ხშირად ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს დაფინანსების მოპოვება უჭირთ ხოლმე და ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ გუნდს ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. ეს კი ასუსტებს კონკურენციას პოლიტიკურ პარტიებს შორის, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეფერხებისკენ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წლებია უკვე, რაც სწავლობს და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

ამჯერად წარმოგიდგინთ შუალედურ კვლევას, რომელშიც გაანალიზებულია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე განხორციელებული კერძო შემოწირულებები. ოფიციალური საარჩევნო კამპანია საქართველოში არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე - 21 აგვისტოს დაიწყო, მას შემდეგ, რაც პრემიერმინისტრის კონტრასიგნებით პრეზიდენტის ბრძანებულება გამოქვეყნდა. ვინაიდან მსხვილი შემოწირულებები 21 აგვისტომდეც ფიქსირდებოდა საანგარიშო პერიოდის ათვლა 1 ივნისიდან დავიწყეთ.

ამ ანგარიშისთვის კვლევის საგნად მხოლოდ შემოწირულებები ორი მიზეზით იქნა შერჩეული. პირველი, ვინაიდან ეს წელი ჯერ არ არის დასრულებული, ხელმიუწვდომელია სრული ინფორმაცია პარტიების 2016 წლის შემოსავლებსა და ხარჯებზე. შემოწირულება არის შემოსავლების ის კატეგორია, რომლის გაანალიზებაც სრული წლის მონაცემების არსებობა აუცილებელი არ არის. მეორე, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში შემოწირულებების საკითხი, როგორც წესი, პოლიტიკური კორუფციის ყველაზე მაღალი რისკის შემცველია, შესაბამისად, შემომწირველთა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება კვლევის ობიექტებს, ამ მიზნისთვის მხოლოდ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები და თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი შეირჩა. საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, კვალიფიციურია პარტია, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ პირდაპირ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს. 2017 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის ასეთი სტატუსის მქონე 20 პარტიიდან 15 პარტია იღებს მონაწილეობას, რომლებიც თავის მხრივ 14 საარჩევნო სუბიექტად არიან წარმოდგენილნი.

მხოლოდ კვალიფიციური სუბიექტების შერჩევა ლოგიკური იყო, რადგანაც, გარდა იმისა რომ ისინი წარმოადგენენ ყველაზე რეიტინგულ მოთამაშეებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან მხოლოდ ისინი იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას და წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსების თითქმის 100%-ს ეს პარტიები განკარგავენ. რაც შეეხება ალექსანდრე ელისაშვილის, იგი თბილისის მერის არჩევნებში ერთ-ერთი ძლიერი კანდიდატია, რომლისადმი საზოგადოების ინტერესი მაღალია.

შემოწირულებების შესახებ მონაცემები ალექსანდრე ელისაშვილის სამსახურის ვებგვერდზე არსებული ბაზიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბაზას გარკვეული ხარვეზები გააჩნია და არ მოიცავს სრულ ინფორმაციას. მაგალითად, მასში არ იძებნება დამოუკიდებელი კანდიდატებისა და რამდენიმე პარტიის შემოწირულება. აუდიტის სამსახური ამ ხარვეზის შესახებ ინფორმირებულია და იმედია, მიიღებს შესაბამის ზომებს.

ანგარიშის დასაწყისში მოკლედ მიმოხილულია პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, მათ შორის კერძო შემოწირულებების, საქართველოში არსებული ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო. შემდეგ თავში გაანალიზებულია კვალიფიციური საარჩევნო პარტიებისა და თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ალექსანდრე ელისაშვილის მიერ მიღებული შემოწირულებები. კერძოდ, მიმოხილულია ზოგადი სტატისტიკური მონაცემები, შემომწირველთა კავშირები ბიზნეს კომპანიებთან და ამ კომპანიების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში. კვლევის ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები.

# თავი I. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ**“ და „**საარჩევნო კოდექსი**“, ასევე, კანონებით - „**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ**“, „**ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**“, „**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**“ - და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებებით. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით საკანონმდებლო ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ პირებს ვისზეც ვრცელდება პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული შემზღვეველი რეგულირებები. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონი იცნობს, როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის ცნებას. კანონის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური რეგულირება არსებობს საარჩევნო კამპანიისთვის / წინასაარჩევნო პერიოდისთვის. საარჩევნო კამპანია ოფიციალურად იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ვალდებული არიან, გაიარონ საარჩევნო რეგისტრაცია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. რეგისტრაციის შემდეგ პოლიტიკური პარტია ხდება საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც ყოველ სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უნდა წარუდგინოს მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ამსახველი ფინანსური დეკლარაციები. არჩევნების შედეგების შეჭამების შემდეგ კი საარჩევნო სუბიექტი ერთი თვის ვადაში წარადგენს მთლიანი საარჩევნო კამპანიის ანგარიშგებას. პოლიტიკური პარტიების გარდა საარჩევნო სუბიექტი შეიძლება იყოს, საინიციატივო ჯგუფი ან დამოუკიდებელი კანდიდატი, რომლებზეც, ასევე, ვრცელდება საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული რეგულაციები.

რაც შეეხება შემოწირულებებს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონით ამ ტერმინში მოიაზრება:

- პარტიის ანგარიშზე ფიზიკური, ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა;
- პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/ შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოს).



შემოწირულებების განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:

- შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ;
- შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით;
- პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს.

ასევე, აკრძალულია შემოწირულების მიღება:

- სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;
- სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან;
- არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ანონიმური ფორმით.

## თავი II. განხორციელებული შემოწირულებების ანალიზი

პოლიტიკური პარტიის კერძო შემოსავლები საქართველოში ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა. განსაკუთრებულად საინტერესო კი შემოწირულებებია. ვინაიდან საქართველო მცირე და ღარიბი ქვეყანაა, პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ დიდი რაოდენობის შემოწირულებების გაღების ფაქტები ყოველთვის იწვევს ხოლმე ლეგიტიმურ კითხვებს საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ ვინ დგას რეალურად ამ ფინანსური ტრანზაქციის უკან და საქმე ხომ არ გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან.

კორუფციული და უკანონო სქემების გაშიფვრა საკმაოდ რთულია, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გასულ წლებში ცდილობდა მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისთვის პოლიტიკური პარტიების შემომწირველებისა და მათი ბიზნეს ინტერესების, ასევე, მათი კომპანიების მიერ გამარტივებული წესით მიღებული სახელმწიფო კონტრაქტების შესახებ.

ამ კავშირების უფრო ადვილად დადგენის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ შექმნა სპეციალური ვებგვერდი [www.politicaldonations.ge](http://www.politicaldonations.ge), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია 2012 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული ყველა შემოწირულების შესახებ. ამასთანავე, ვებგვერდზე შესაძლებელია შემომწირველების ბიზნესინტერესების ნახვაც.

სწორედ ამ პლატფორმის საშუალებით ჩვენ შევისწავლეთ 2017 წლის 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე გაკეთებული შემოწირულებების ავტორები, კერძოდ, შემომწირველთა ბიზნეს კომპანიები და ამ კომპანიების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში. ასევე, გავაანალიზეთ იმ შემომწირველთა შემოსავლები, რომლებსაც შევსებული აქვთ თანამდებობის პირთა დეკლარაციები ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესო იყო, თუ რა რაოდენობის შემოსავლები უფიქსირდებოდათ დეკლარაციებში მსხვილი შემოწირულებების ავტორებს და აძლევდა თუ არა მათ ოფიციალურად მიღებული შემოსავალი შესაბამისი დონაციის გაკეთების საშუალებას.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კვალიფიციურ პოლიტიკურ გაერთიანებათა რაოდენობამ ოცს მიაღწია, მათგან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 15 კვალიფიციური პარტია იღებს მონაწილეობას, რომლებიც არჩევნებში 14 კვალიფიციური სუბიექტით არიან წარმოდგენილი. ცხრილში N1 მოცემულია არჩევნებში დარეგისტრირებული კვალიფიციური სუბიექტები, ასევე მითითებულია სახელწოდებები, რომლითაც სუბიექტები არჩევნებში მონაწილეობენ.

**ცხრილი N1. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში დარეგისტრირებული კვალიფიციური სუბიექტები**

N	სახელწოდება, რომლითაც მონაწილეობს არჩევნებში	პარტიის სახელწოდება
1	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
2	„მოდრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“	პ/გ „მოდრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“
3	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
4	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
5	„ტრადიციონალისტები“	პ/გ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“
6	მპგ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“	პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“
7	პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“	პ/გ „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“

ცხრილი N1. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში დარეგისტრირებული კვალიფიციური სუბიექტები		
N	სახელწოდება, რომლითაც მონაწილეობს არჩევნებში	პარტიის სახელწოდება
8	„რესპუბლიკური პარტია“	„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“
9	„შენების მოძრაობა“	პ/გ „ეროვნული ფორუმი“
10	„ახალი ქრისტიან-დემოკრატები“	პ/გ „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“
11	„ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“	„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“
		„მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“
12	„გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველო“	„ახალი საქართველო - პოლიტიკური პლატფორმა“
		„ევროპელი დემოკრატები“
13	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
		„საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“
		ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედა)
14	„დimitრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა- დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“	„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“
		„თავისუფალი საქართველო“

## 1. ჯამური მონაცემები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვებგვერდზე არსებული მონაცემებით, 2017 წლის 2017 წლის 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტებმა და ალექსანდრე ელისაშვილმა მთლიანობაში 10 319 998 ლარის ოდენობის შემოწირულება მოიზიდეს, საიდანაც 8 274 776 (80%) ლარი 643 ფიზიკური პირის მიერ გაღებული თანხაა, ხოლო 2 044 143 ლარი – 32 იურიდიული პირის მიერ.

ამ თანხის უდიდესი ნაწილი 9 553 178 ლარი (93%) მიიღო პოლიტიკურმა პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (შემდეგში „ქართული ოცნება“), შემდეგ მოდის „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 609 969 ლარით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 48 261 ლარი, „პატრიოტთა ალიანსი“ - 28 187 ლარი და ალექსანდრე ელისაშვილი - 20 241 ლარი.

### ღიაგრაფა №1. კვალიფიციური პარტიების/სუბიექტების და დამოუკიდებელი კანდიდატის ანაქსანდრე ელისაშვილის მიერ სანაგარიშო პერიოდში მიღებული შემოსირულოვები

ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო		9 553 178
ევროპული საქართველო- მოძრაობა თავისუფლებისთვის		609 669
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა		48 261
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი		28 187
ალექსანდრე ელისაშვილი		20 241
ეროვნული ფორუმი		19 164
დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველო		14 991
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია		12 204
საქართველოს ლეიბორისტული პარტია		910
სასქართველოს მშვიდობისათვის		200
საქართველოს რესპუბლიკური პარტია		121

**„ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულება 16-ჯერ აღემატება მეორე ადგილზე გასულ „ევროპული საქართველოს“ შემოწირულებას და 12-ჯერ მეტია ყველა კვალიფიციური სუბიექტის ჯამურ შემოწირულებებზე.**

## **2. შემომწირველთა ბიზნეს ინტერესები და პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტები**

ბემოთნახსენები 32 იურიდიული პირიდან 31 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, მხოლოდ ერთმა იურიდიულმა პირმა გაიღო „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლო შემოწირულება 90 ლარის ოდენობით.

ყველაზე მსხვილი შემომწირველი 7 კომპანია იყო - თითოეულმა „ქართულ ოცნების“ სასარგებლოდ მაქსიმალური თანხა 120 000 ლარი გაიღო. ეს კომპანიებია: შპს „ტი-ემ-პი“, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, შპს „LION“, „თეგეტა მოტორსი“, „დეტი“, „პარტნიორი“ და „მეეკი“. აღსანიშნავია, რომ პირველმა სამმა კომპანიამ 2016 წელს ზუსტად იმავე ოდენობის თანხები შესწირა „ქართულ ოცნებას“. ასევე საინტერესოა, რომ კომპანიამ „ტრანსპროექტი“, რომელმაც საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ 50 000 ლარი გაიღო, 2011 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ აქვს 100 000 ლარი შეწირული.

„ქართული ოცნების“ 31 შემომწირველი კომპანიიდან 2017 წელს 15-მა მიიღო გამარტივებული წესით სახელმწიფო კონტრაქტები საერთო ღირებულებით დაახლოებით 2 145 022 ლარი, მაშინ როდესაც ამავე კომპანიებმა საანგარიშო პერიოდში პარტიის სასარგებლოდ მთლიანობაში 1 021 793 ლარი გაიღეს. **ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა „თეგეტა მოტორსის“ და „ცეკურის“ შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში „თეგეტა მოტორსმა“ როგორც იურიდიულმა პირმა მმართველ პარტიას 120 000, ხოლო ამ კომპანიის მენილემ ზაური ცხადაძემ დამატებით 60 000 ლარი შესწირა, სანაცვლოდ კი ამ კომპანიამ მიმდინარე წლის განმავლობაში გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის წესით 1 539 კონტრაქტი მიიღო, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 1 500 000 ლარია. რაც შეეხება კომპანია „ცეკურს“, მან „ქართულ ოცნებისთვის“ 40 000 ლარი გაიმეტა და ამავე დროს 400 000 ლარის ღირებულების ერთი პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი მიიღო.**

რაც შეეხება შემომწირველ ფიზიკურ პირებს, 643 შემომწირველიდან 289 ადამიანი 818 იურიდიულ პირთან იყო სხვადასხვა სტატუსით დაკავშირებული. ამ 818 იურიდიული პირიდან 70 არის ისეთი, რომელმაც 2017 წელს გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვების ერთი კონტრაქტი მაინც მიიღო. ამ კონტრაქტების ჯამურმა ღირებულებამ 3 249 233 ლარი შეადგინა, ხოლო იგივე 70 კომპანიასთან დაკავშირებულმა ფიზიკურმა პირებმა მთლიანობაში დაახლოებით 2 მლნ ლარის შემოწირულება განახორციელეს.

ამ 70 კომპანიასთან დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან 55 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, რომლებმაც საარჩევნო პერიოდში მმართველ პარტიას მთლიანობაში 1 661 470 ლარი შესწირეს, აღნიშნულ 55 ადამიანთან დაკავშირებულმა 49 კომპანიამ კი დაახლოებით 2 400 000 ლარის ღირებულების კონტრაქტები მიიღო.

## **3. მაღალი რისკის შემცველ შემოწირულებებზე რეაგირება**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში შემოწირულების შემოწმების მიზნით 544 ფიზიკური პირის შემოსავლების შესწავლაზე გააგზავნა მოთხოვნა, საიდანაც გამოკითხვაზე 31 პირი დაიბარა, რომელთაგან 13 არის „ევროპული საქართველოს“ შემომწირველი, ხოლო 18 – „ქართული ოცნების“. **არც ერთი შემომწირველი არ დაჯარიმებულა.**

## რეკომენდაციები

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხების გაუმჯობესების კუთხით შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება მიგვაჩნია მიზანშეწონილად:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებების იდენტიფიცირების საკითხს. ასევე, სასამართლომ უფრო კვალიფიციურად უნდა განიხილოს მაღალი ალბათობით უკანონო შემოწირულებების შესახებ შემოსული საქმეები. დღეს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის ამ სფეროში კორუფციის რისკების შემცირებას;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა მოაწესრიგოს შემომწირველთა შესახებ მონაცემთა ბაზა და გამოასწოროს არსებული ხარვეზები.